პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

(1197) | სამშაბათი, 4 მარტი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

# სპორტსმენი ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს

...ად დიდი, საპატიო მოვალეო... აკისრია სპორტსმენს, როდესაც ...ჯიბრებაში მონაწილეობს. ამ ... საზოგადოებრივობა მას ამოწ... ყოველმხრივ: როგორ ურთიერ... ...ია ამხანაგებთან, მწვრთნე... ...ნ, მსაჯებთან. ერთი სიტყვით ...სმენის მარტო ტექნიკური მა... ...ლები დღეს არავის არ აკმა... ...ებს. სპორტსმენი უნდა იყოს ...შო მოქალაქე.

...ულიო პრესა ერთხმად აღია... საბჭოთა სპორტსმენების მაღალ ...ურ თვისებებს, დისციპლინას. ...რნის ოლიმპიური თამაშების ...ბ ავსტრალიური სპორტული ... წერდა: „ჩვენ გაგვაოცა ...თა სპორტსმენების ოსტატო... ...მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გაგ... სპორტსმენთა შორის გული... მეგობრულმა ატმოსფერომ, ...მა დისციპლინამ, მოწინააღმ... მსაჯების მიმართ პატივის... ბევრი, ძალიან ბევრი უნდა ...ლოთ ჩვენ საბჭოთა სპორტს...ისაგან".

...ლასათვის ცნობილია, რომ ...ციპლინო სპორტსმენი სარბი... დიდხანს ვერ ბოგინობს. სუს... ...რალური თვისებების გამო ... ტექნიკურ მონაცემებს ვერ ...უნებს და მაშინ, როდესაც მი... ...მდვილი გაფურჩქვნა უნდა და..., თავს ანებებს სპორტს. ამას ... უდისციპლინო სპორტსმენი ... საქციელით არცხვენს კოლე... და ავტორიტეტს ულახავს ...ს. შესანიშნავი შთაბეჭდილება ...ა საქართველოს სპორტულმა ...აციამ მოსკოვში საკავშირო ...აკიადაზე, ბაქოში ამიერკავკა... და მოლდავეთის სპარტაკია... საკავშირო და საერთაშორისო ...ბრებებზეც გამოირჩევიან ჩვენი ...ტსმენები თავაზიანობით, მაღა... ...დისციპლინით, სპორტული რეჟი... ...ტკიცე დაცვით, მაგრამ, სამწუ...დ, აქა-იქ კიდევ გვხვდება ისე... ...ფაქტები, რომლებიც ჩრდილს ...ბენ რესპუბლიკის სპორტულ ...ქტივს.

... წინათ აღვნიშნეთ მოჭიდავეე... გვანცელაძისა და ქორიძის მოსკოვში ხულიგნური საქცი... შესახებ. ორივე სპორტსმენი ...ადოდ დაისაჯა და ჩვენ აქ ...ოლს დავსვამდით, რომ ახეთ ...ებს გასულ სეზონში და მიმდი...ც კვლავ ადგილი არ ჰქონო... ...ი ფაქტიც: მძლეოსანთა რეს...იკური ნაკრები გუნდის წევრე... ...ლუევი და აგრბა დისკვალიფი...ბულ იქნენ ლოთობისათვის, ...ბლიკის ერთ-ერთმა მოწინავე ...ვარჯიშემ რ. კაჭახიძემ მსაჯ... ...ემადგენლობას სიტყვიერი შეუ...ყოფა მიაყენა. ფაქტების მოყვა...დევ შეიძლება (განსაკუთრებით ...ურთში საქართველოს პირველო... ...გათამაშებისას), მაგრამ ესეც ..., სათანადო დასკვნების გაკეთე... ...ქედანაც შეიძლება.

ჩვენ გვგონია, როდესაც სპორტსმენს აკლია საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება — დისციპლინა, ამაში უპირველეს ყოვლისა ბრალი მიუძღვის მწვრთნელს. ორში ერთია: ან თვითონ მას არა აქვს საკმარისი გამოცდილება, რომ აღსაზრდელში ეს გრძნობა გააღვივოს ან კიდევ უგულებელყოფს ამ აუცილებელ საქმეს. სწორედ ამიტომ, როდესაც სპორტსმენი ისჯება უდისციპლინობისათვის, პასუხი უნდა მოვთხოვოთ მწვრთნელსაც. ისიც უნდა წარსდგეს საზოგადოებრივობის სამსჯავროს წინაშე და რადგანაც ვერ შესძლო სრულფასოვანი სპორტსმენის აღზრდა, მისი ხვედრიც გაიზიაროს.

საყვედურის ღირსნი არიან სპორტული საზოგადოებებიც. ისინი სულ უფრო ხშირად სპორტსმენთა ტექნიკური მონაცემების ზრდით არიან დაინტერესებულნი, ახლოს არ მიდიან სექციებთან. ნაკლებად ზრუნავენ სპორტსმენთა იდეურ დონეზე. რაც შეეხება რესპუბლიკურ სექციებს, ისინი ხშირ შემთხვევაში ლიბერალობენ. მხოლოდ ფეხბურთის რესპუბლიკური სექცია იჩენს ამ საქმეში პრინციპულობას.

მიმდინარე წელი დიდი, მასობრივი ღონისძიებების წელია, მრავალ საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში მოუხდებათ მონაწილეობა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მათგანი შევარჩიოთ სანიმუშოდ, ერთი ხელის მოსმით ნუ შევადგენთ გუნდებს, შევისწავლოთ ყოველი წევრი თავით ფეხებამდე. საკმარისია გუნდში ერთი უდისციპლინო გაძვრეს, რომ მისმა საქციელმა ჩრდილი მიაყენოს მთელ გუნდს, რესპუბლიკას. საჭიროა, გავაფრთხილოთ გუნდების მწვრთნელები და უფროსები, რომ რესპუბლიკის სპორტული სახელის შებღალვა არავის ეპატიება. ამიტომ დიდი, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დავუთმოთ ჩვენს მუშაობაში პოლიტაღმზრდელობით საქმიანობას. შეკრებაზე ტექნიკური ილეთების დახვეწის გარდა უნდა ვზრუნავდეთ ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე. დროა სექციების სასწავლო გეგმებს გადავხედოთ და მასში სერიოზული ადგილი დავუთმოთ სპორტსმენთა იდეურ აღზრდაზე ზრუნვას. საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი ძალოსნის გ. ნოვაკის მაგალითი. ამ შესანიშნავი მონაცემების სპორტსმენზე საბჭოთა საზოგადოებრივობამ მაშინ თქვა უარი, როცა იგი მსოფლიო რეკორდებს რეკორდებზე ამყარებდა. უარი თქვა იმიტომ, რომ მას დეზორგანიზაცია შეჰქონდა გუნდში. რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციაც არ დაინდობს დეზორგანიზატორებს, უდისციპლინოებს, გარიცხავს მათ თავის რიგებიდან.

# დინამოელთა ტურნირი



2 მარტს მოსკოვში დამთავრდა დინამოელთა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. პირველი მარტის შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა მაგდებურგის „დინამო" — 5:1, რუმინეთის „დინამომ" — ლვოვის „დინამო". დოჟას სახელობის კლუბისა (უნგრეთი) და თბილისის „დინამოს" შეხვედრა ასე წარიმართა: თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთი იყო გასული, როცა ავანესიანი მსაჯმა აუზიდან გააძევა. რიცხობრივი უპირატესობა უნგრელებმა კარგად გამოიყენეს და გახსნეს ანგარიში — 1:0. ასე დამთავრდა მატჩის პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმში თბილისელები გააქტიურდნენ. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ზუსტად არ ტყორცნიდნენ ბურთს კარში. თბილისელებს თამაშის მიწურულში ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა— ჩაჩავამ ვერ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო. ამრიგად, მატჩი დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით—1:0.

2 მარტს თბილისელების წინააღმდეგ თამაშობდა რუმინეთის „დინამო". თბილისელთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილება (კლიმენკო, მეგედი, ჩიქვანაია, ბართაევი, ხოფერია, გვახარია, ჩხიკვაძე). თამაში თბილისელთა დაცვის შეცდომით დაიწყო, რითაც ისარგებლა რუმინეთის თავდამსხმელმა და ანგარიში გახსნა. მე-6 წუთზე ხოფერიამ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ რუმინელებმა მეორე გოლის გატანა შეძლეს — 2:1. თამაშის მეორე ნახევარში ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და როცა ანგარიში იყო 3:3, კვლავ თბილისელთა დაცვის უხეში შეცდომის გამო რუმინელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა — 4:3.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: 1. მოსკოვის „დინამო", 2. დოჟას სახელობის კლუბი (უნგრეთი), 3. ბუქარესტის „დინამო", 4. თბილისის „დინამო", 5. ლვოვის „დინამო", 6. მაგდებურგის „დინამო".

გ. ქყონია,
ჩვენი საკ. კორ.

* * *

სურათზე: თბილისელი მეგედი (მარჯვნივ) გერმანელ კულასთან ბურთისათვის ბრძოლის დროს.

ფოტო ლ. დორენკოსი.

# დიდი მატჩი

კვირას მოსკოვში, ლენინგრადის პროსპექტზე მდებარე საკონცერტო-თეატრალურ დარბაზში მოეწყო ვ. სმისლოვ-მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანშის საზეიმო გახსნა.

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციის სახელით შეხვედრის მონაწილეებსა და მსაჯებს მიესალმა საკავშირო საჭადრაკო სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე საერთაშორისო ოსტატი ვ. ალატორცევი. გროსმაისტერმა ვ. რაგოზინმა წაიკითხა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის ფ. როგარდის წერილი, რომელშიც პრეზიდენტი ვ. სმისლოვსა და მ. ბოტვინიკს უსურვებს წარმატებას.

შემდეგ დარბაზში შემოდიან სოკოლნიკების რაიონის პიონერთა სახლის ნორჩი მოჭადრაკეები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონსა და მის მეტოქეს, აგრეთვე მსაჯებს გადასცემენ ყვავილების თაიგულებს.

ტრიბუნაზეა მატჩ-რევანშის მთავარი მსაჯი, გროსმაისტერი გ. შტალბერგი. იგი დამსწრე საზოგადოებას აცნობს ორთაბრძოლის პირობებს. სხვათაშორის მან აღნიშნა, რომ კვირაში გათამაშდება სამი პარტია (სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს), ხოლო ყოველი პარტიის შემდეგ (ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას) გაიმართება მისი დამთავრება თუ იგი გადადებული აღმოჩნდა.

შემდეგ მოეწყო კენჭისყრა. I პარტიაში, რომელიც დღეს შედგება, თეთრებით ითამაშებს ვ. სმისლოვი.

მატჩ-რევანშის საზეიმო გახსნის შემდეგ ვ. სმისლოვმა განაცხადა:

— მე ვფიქრობ მატჩი მეტად საინტერესო იქნება. ჩვენ ორივენი ვიბრძოლებთ გამარჯვებისათვის. რასაკვირველია, ამ საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის ჩვენ სერიოზულად მოვემზადეთ. ამიტომ საჭადრაკო თეორიასაც ალბათ შევძენთ რაიმე სასარგებლოს.

როგორც არ უნდა დამთავრდეს ორთაბრძოლა, გამარჯვებული მაინც საბჭოთა საჭადრაკო სკოლა იქნება, რომლის წარმომადგენლები მე და მ. ბოტვინიკი ვართ.

# მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ხანმოკლე შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ო. რუბცოვას ავადმყოფობით, შედგა ე. ბიკოვა — ო. რუბცოვას მატჩ-რევანშის IX პარტია.

ე. ბიკოვამ პარტია ძლიერად ჩაატარა და 40-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

X პარტიაში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, კვლავ გაიმარჯვა ბიკოვამ.

XI პარტიაში რუბცოვამ დებიუტიდან კარგი თამაში მიიღო, მაგრამ განახორციელა პაიკის არასწორი შეწირვა, ხოლო შემდეგ იერიშის განვითარების იმედით დათმო ფიგურაც. მაგრამ ბიკოვამ ადვილად მოიგერია მუქარები და შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა. 26-ე სვლაზე რუბცოვა დანებდა.

ამრიგად, XI პარტიის შემდეგ ანგარიშია 7:4 ე. ბიკოვას სასარგებლოდ.



მოსკოვში დამთავრდა მატჩ-ტურნირი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელზე ჭადრაკში ქალთა შორის. კ. ზვორიკინასთან ორთაბრძოლაში ეს საპატიო წოდება მოიპოვა ვ. ბორისენკომ.

სურათზე: ვ. ბორისენკო (მარცხნივ) და კ. ზვორიკინა.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა.

# ლახტის სათხილამურო ბილიკებზე

...მარტს ფინეთის ყველაზე უფ... „სათხილამურო" ქალაქ ლახტში ...ყო მსოფლიოს 1958 წლის ...ონატი სათხილამურო სპორ...

საინტერესო შეჯიბრების ს...ბლად ლახტში განუწყვეტლივ ...დიან ტურისტები სხვადასხვა ...ამწიფოდან და ფინეთის ქა...ბიდან. ჩემპიონატის გახსნის დღეს იდგა მზიანი და სუსხიანი, შეჯიბრებისათვის შესანიშნავი ამინდი.

პირველობა დაიწყო ვაჟთა რბენით 30 კილომეტრზე. სტარტზე გამოვიდა 15 ქვეყნის 60 წარმომადგენელი.

დიდი ხნის განმავლობაში რბენას ლიდერობდნენ ახალგაზრდა ფინელი მოთხილამურე ა. ტიაინენი და საბჭოთა კავშირის გუნდის წევრი პ. კოლჩინი. 20 კილომეტრის შემდეგ ფინელმა მოუმატა ტემპს და დისტანცია დაამთავრა საუკეთესო შედეგით — 1 საათი 40,3 წუთი. კოლჩინი მსოფლიო ჩემპიონს ჩამორჩა 12,2 წამით. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შვედმა ს. ერნბერგმა დაიკავა მესამე ადგილი, ხოლო ფინელთა ფავორიტი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ვ. ჰაკულინენი მეექვსე ადგილზეა.

მაყურებელთა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ორჭიდში (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა და რბენა 15 კილომეტრზე). პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა ფინელი პ. რისტოლა, რომელსაც ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ტრამპლინიდან ხტომაში. საბჭოთა კავშირის გუნდიდან წინაა ფედოროვი.

# ასე აღარ უნდა გაგრძელდეს

ქართული ჭიდაობის ახალი სეზონი გვიახლოვდება... თამამად ითქმის, რომ შარშან მან უფრო ფართო გასაქანი ჰპოვა, ვიდრე წინა წლებში. მაგრამ თუ ჩვენს შეჯიბრებებს მასობრიობა და ორგანიზაციული დახვეწილობა ჯერ კიდევ აკლდა, ეს იმიტომ, რომ ფიზკულტურისა და სპორტის ზოგიერთი ადგილობრივი კომიტეტი სათანადო სიფხიზლეს ვერ იჩენდა და დაუდევრად ეპყრობოდა იმ სახეობას, რომელიც ჩვენი საამაყო წინაპრების ვაჟკაცობისა და რაინდობის მაჩვენებელია და რომელსაც ჩვენი თაობაც გატაცებით ეწაფება.

გასულ წელს გაზეთი „ლელო" წერილში „როდის დაიბადა ბ. მარგველაშვილი?!" ამხელდა ორგანიზაციებს, რომლებიც ფეხბურთელებისათვის ყალბ პასპორტებსაც კი აკეთებდნენ, ასაკობრივად სხვადასხვა გუნდებში გამოჰყავდათ ჭაბუკი ფეხბურთელები და ამით ბავშვებს ამახინჯებდნენ, თაღლითობას აჩვევდნენ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქართული ჭიდაობაც ირგვლივაც შეგვხვდა უპასუხისმგებლობისა და თვალთმაქცობის ფაქტები.

მოჭიდავეთა ფიზიკური ძალის დაპირისპირების დროს მათი ასაკობრივი ურთიერთდამოკიდებულების დაცვა აუცილებელია, რადგან უამისოდ მარცხი მოგველის. ამაზე არ იფიქრა წითელწყაროს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელობამ და მოჭიდავენი უშანგი ჩოხელი და ლ. ლუდუშაური „კოლმეურნეს" 1956 წლის პირველობაზე წარმოადგინა როგორც 1937 წელს დაბადებულნი, ხოლო იმავე წლის რესპუბლიკის ჭაბუკთა პირველობაზე ისინი 1938 წელში დაბადებულად მოგვევლინა. მათივე ტარიელ ნარიმანიძე „კოლმეურნეს" იმავე პირველობაზე 1936 წელს იყო „დაბადებული", ხოლო ჭაბუკთა პირველობაზე თურმე 1938 წელს დაიბადა. ერთი წლის შემდეგ 1957 წელს, საკოლმეურნეო პირველობაზე მას ხელახლა შეეცვალა დაბადების თარიღი.

შეჯიბრებაზე დასაშვებ განაცხადებსა და მოწმობებში, სადაც ექიმის ცნობაცაა დართული, ხშირად გვარებს მხოლოდ ინიციალები უწერია. სათანრიგო და სხვა საბუთებს თავიც რომ დავანებოთ, რაიმე ავადმყოფობის აღმოჩენისას მოდი და იკვლიე, დავუშვათ „მ. პეტრიაშვილი", „მოსე პეტრიაშვილი" იყო თუ „მიტროფანე პეტრიაშვილი". განაცხადებისა და საბუთების უწესო შედგენა ხშირად ხდება გაუგებრობისა და აყალ-მაყალის მიზეზი.

ჭაბუკთა 1957 წლის რესპუბლიკურ პირველობაზე უვარგისი საბუთებით წარმოადგინეს დუშეთის, მცხეთის, კასპის მოჭიდავენი: ზოგ მოწმობას აკლდა ნომერი და ხელისმოწერა, ზოგს კურათი და ა. შ.

სპორტსმენთა მესვეურნი მეტად ზერელედ ეკიდებიან მოჭიდავეთა საექიმო შემოწმებას, რასაც ზოგჯერ თვით ექიმებიც უწყობენ ხელს. 1956 წლის სპარტაკიადაზე, მოჭიდავეთა აწონის დროს, შეჯიბრების ექიმმა არ დაუშვა სტალინირელი გ. კიბილოვი, რომელსაც ტანზე გამონაყარი ჰქონდა, ადგილობრივი ექიმის მიერ კი „შემოწმებული და შეჯიბრებაზე დაშვებული" იყო. წითელწყაროელმა ჭაბუკმა გ. ქაცაშვილმა რესპუბლიკის 1957 წლის პირველობაზე მხოლოდ 1 წუთსა და 25 წამს იჭიდავა, შემდეგ კი ცუდად შეიქნა. ექიმის დასკვნით, ის საერთოდ სუსტი და შეჯიბრებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა, ადგილობრივი ექიმი კი ჯანმრთელობას უდასტურებდა.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სპორტსმენთა რომელიმე სპორტსაზოგადოებაზე მიწერის საკითხი. გამოცხადდება თუ არა რომელიმე შეჯიბრება, სპორტსაზოგადოებათა მწვრთნელები და წარმომადგენლები იწყებენ მოჭიდავეთა ძებნას. ხოლო შემდეგ „ნასესხების" დაბრუნება აღარ სურთ. ზოგჯერ ამ დავით სარგებლობს სხვა საზოგადოება და „გზააბნეულს" თავისკენ გადაიტყუებს. ამ გაწამაწიაში ყველაზე მეტად საზოგადოება „კოლმეურნე" ზარალდება ხოლმე. დიდი ხანია, რაც გ. სიმონიშვილი წელიწადში სამჯერ მაინც მოგზაურობს „კოლმეურნედან" „დინამოში" და უკან. ასეთივე მოგზაურობას აჩვევენ „კოლმეურნის" ახალგაზრდებს ა. ოდიშვილს, ჩ. ქუცნიაშვილს და სხვებს. ამის შედეგად შეჯიბრებაზე იწყება დავა და დეპეშა-საჩივრების გზავნა. გამოდის, რომ მწვრთნელები ვერ აკმაყოფილებენ სპორტსაზოგადოებათა მოთხოვნებს, საჭირო კონტინგენტს ვერ ქმნიან და შეჯიბრებაზე სხვისი აღზრდილი მოჭიდავენი გამოყავთ, ხოლო საზოგადოებათა ხელმძღვანელნი ასეთი „მიღწევებით" მშვიდად ხარობენ.

როდესაც „ბურევესტნიკის" საუკეთესო მოჭიდავე გ. სულაშვილმა 1957 წელს ჯერ თბილისის სახელით იჭიდავა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ „კოლმეურნეს" პირველობაზე მცხეთის დამზადების პუნქტის მუშაკად წარმოსდგა, მე, როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სამანდატო კომისიას საბუთის სიყალბეზე მივუთითე, მაგრამ „კოლმეურნეს" რესპუბლიკური საბჭოს ერთმა წარმომადგენელმა სხვათა თანდასწრებით ჩხუბი ატეხა: „ჩვენ ვუშვებთ, შენი რა საქმეა!" — რაც ყოვლად უპატიებელი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ კი იგივე წარმომადგენელი სახტად დარჩა, როცა მათი „პრიზიორი" — სულაშვილი კვლავ ბურევესტნიკელად იხილა ასპარეზობაზე.

ძლიერი მოჭიდავე ა. კიკნაძე „კოლმეურნეს" ზონალურ შეხვედრებზე რატომღაც კაჭრეთის რაიონის გუნდში აღმოჩნდა. როცა ის ფინალზე თბილისში ჩამოვიდა, ადვილად გაირკვა, რომ იგი, როგორც მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მოსწავლე, „კრასნოე ზნამიას" ეკუთვნოდა და შეჯიბრებაზე არ იქნა დაშვებული. მცირე ხნის შემდეგ ა. კიკნაძე თავისუფალ ჭიდაობაში უკვე დინამოელად მოგვევლინა.

მოჭიდავეთა შორის დაბალ დონეზეა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა და სპორტული დისციპლინა. იყო შემთხვევები, როცა შედეგით ნაწყენმა მოჭიდავემ ჩოხა გაიძრო და გადააგდო (გარეუბნიდან — ა. სანიკიძე, აფხაზეთიდან — ნ. პირველი); პირველი დამარცხებისთანავე გაიპარნენ ყვარლისა და ხამტრედიის გუნდები. ზოგჯერ უდიერობას თვით ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეც ამჟღავნებს. კასპის გუნდი საქართველოს 1957 წლის პირველობაში 8 კაცით ჭიდაობდა. ნახევარფინალისათვის ამ გუნდში ხუთი ახალი მოჭიდავე წარმოადგინეს, ხოლო ქუთაისში, ფინალზე, კვლავ ისევ ახალი ხუთი მოჭიდავით მოგვევლინენ. ასე „კარგად ორგანიზებულმა" გუნდმა, რა თქმა უნდა, წააგო და შეჯიბრებიდანაც გავიდა, ხოლო კასპის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯანჯალაშვილმა, რომელიც გუნდს ახლდა, თავისი ცუდი მუშაობის სხვისთვის გადასაბრალებლად, საჯაროდ ასტეხა უხამსი ყვირილი.

უკულგულო მუშაობის მაჩვენებელია ისიც, რომ კარგი მოჭიდავეების მქონე ზოგი რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი შეჯიბრებაზე მონაწილეებს არ გზავნის. არც ერთ შეჯიბრებაში არ წარმოუდგენია მოჭიდავეები გეგეჭკორის რაიონს, ნაკლებად ჩანან ოსეთის, ქარელის, მცხეთის, თიანეთისა და ყვარლის მოჭიდავენიც.

სპორტსაზოგადოებათაგან ქართულ ჭიდაობას ყველაზე მეტად გაურბის „ლოკომოტივი", რომლის მოჭიდავენი საუკეთესო მწვრთნელის აკ. ადეიშვილის ხელმძღვანელობით ხშირად ჩემპიონები იყვნენ. ახლა კი ეს საქმე აქ ჩაშლილია.

ყოველივე ამით ხელი ეშლება როგორც შეჯიბრებათა ორგანიზებულად ჩატარებას, ისე ქართული ჭიდაობის მასობრივად დანერგვას.

მეორეს მხრივ, ჩვენ გვყავს ორგანიზებული, დისციპლინირებული გუნდებიც. ასეთებია ონის, ლანჩხუთის, საგარეჯოს და სხვა რაიონების მოჭიდავენი. მივბაძოთ ამ რაიონებს, გადმოვიღოთ მათი კარგი ჩვევები და ორგანიზაციული გამოცდილება.

**მ. ხერხეულიძე,**
ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.

## „სპარტაკის" მოჭადრაკეთა ტურნირი

ხარკოვში მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს III გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილე 14 კოლექტივი ორ ნახევარფინალურ ჯგუფადაა დაყოფილი. ამ ჯგუფებში გამარჯვებულნი I-II ადგილებისათვის შეხვდებიან ერთმანეთს.

I ჯგუფში, რომელშიც საქართველოს გუნდი მოხვდა, თამაშობენ აგრეთვე ლატვიის, ლენინგრადის, უზბეკეთის, მოსკოვის, ყირგიზეთისა და უკრაინის კოლექტივები. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში თამაშობენ ოსტატები ბ. გურგენიძე და ა. ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატი ს. გოლუბ-ფლექსერი, პირველთანრიგოსნები ზ. მესროპოვი და ო. ალიხანოვი, მოჭადრაკე ქალები გ. აბროსიმოვა და ლ. წერეთელი.

პირველ ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა ანგარიშით 6,5:0,5 დაამარცხეს ყირგიზეთის გუნდი. მეორე ტურში უკრაინელებთან შეხვედრაში მათ განიცადეს დამარცხება ანგარიშით 2,5:4,5. ამ მატჩში ბუსლაევმა მოუგო შტეინს, ხოლო გურგენიძე-ბანიკის, გოლუბ-ფლექსერ-მიცკევიჩისა და აბროსიმოვა-რუსინკევიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. ბუსლაევი
(ჩვენი სპეც. კორ.)

## არჩევნებს მიუძღვნეს

ჩოხატაურის რაიონის ფიზკულტურელებმა მრავალი სპორტული ღონისძიება მიუძღვნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

საინტერესოდ ჩატარდა მოსწავლეთა კროსი ჩოხატაურის პირველ საშუალო სკოლაში. ვაჟებს შორის 10 კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ჯ. მათირიშვილმა, ხოლო ქალებში 5-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო ქ. ცინცაძე. სულ კროსში 150 მოსწავლე მონაწილეობდა.

არჩევნებს მიუძღვნეს აგრეთვე გორაბერეჟოულის ჰ. ზენდელიანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა თავიანთი პირველობა კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 15 ვაჟთა და 10 ქალთა გუნდი. ვაჟთა შორის ჩემპიონნი გახდა მეხილეობა-მებოსტნეობის განყოფილების მე-3 კურსის, ხოლო ქალებს შორის—აგრონომიული განყოფილების მე-4 კურსის კალათბურთელები.

გ. ახალაია

## საწარმოო ტანვარჯიში ეხმარება

ზესტაფონის ... ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვასა და განვითარებას. ქარხანაში სისტემატურად ეწყობა ლექციები, საუბრები საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობის შესახებ. საქარხნო და საამქროების კედლის გაზეთები რეგულარულად ათავსებენ წერილებს ამ საკითხზე, კარგად იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებს. ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კონტროლსა და ქმედით დახმარებას უწევენ ამ საქმისათვის გამოყოფილ მეთოდისტებს.

ამის შედეგად საწარმოო ტანვარჯიშში ჩაება ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტი. ისინი რეგულარულად ასრულებენ დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს და რაციონალურად იყენებენ შესვენებებს.

ზესტაფონელ მეტალურგებს ყოველდღიურ საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში და შრომის ნაყოფიერების ზრდაში გარკვეულ დახმარებას უწევს საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა და განვითარება.

ს. ტალახაძე

## ტექნიკუმელთა ტურნირი

ორ კვირაზე მეტ ხანს მიმდინარეობდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 1958 წლის პირველობა ჭადრაკში.

შეჯიბრება დაუმარცხებლად დაამთავრა ახალგაზრდა მეორეთანრიგოსანმა გ. მჟავანაძემ, რომელმაც 10,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გასული ს. ლექავა ერთი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. მესამე ადგილზეა ... ნაჭყებია.

აღსანიშნავია, რომ ს. ლექავამ და ნ. ნაჭყებიამ შეასრულეს მეორე თანრიგის ნორმები.

ტ. ქართსანიძე

# იმსჯელეს საჭირბოროტო საკითხებზე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ამას წინათ შედგა რესპუბლიკური პლენუმი ტანვარჯიშში. პლენუმზე იდგა ორი საკითხი: სექციის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება და პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის არჩევნები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ტანვარჯიშული სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. შავდია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა მიაღწიეს ზოგიერთ წარმატებას, მაგრამ გასულ წლებთან შედარებით ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენა გვაქვს. მაგალითად, 1957 წლის საკავშირო ჩემპიონატში ჩვენმა რესპუბლიკამ დაიკავა მხოლოდ მერვე ადგილი, ხოლო ინდივიდუალურ ჩათვლაში ჩვენი საუკეთესო ადგილი მხოლოდ 32-ს უდრის. ჯერ სუსტადაა დაყენებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ბავშვთა შორის. სპორტული საზოგადოებანი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ასევე დაბალ დონეზე დგას მუშაობა სპორტის ამ სახეობაში მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში.

რესპუბლიკის დიდ ქალაქებში (ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი) ტანმოვარჯიშეთა რაოდენობა საერთო ზრდის მაგივრად მცირდება. ამასთან, შესაბამისად კლებულობს მათი მომზადების ხარისხიც. ყველაფერ ამის შედეგად მაღალი თანრიგის ტანმოვარჯიშეთა მომზადების სახელმწიფო გეგმა არ შესრულებულა. ასევე ვერ შეასრულეს აღებული ვალდებულებანი ცალკეულმა მწვრთნელებმა და ტანმოვარჯიშეებმა.

ვერ დავიკვეხნით მწვრთნელთა კვალიფიკაციის დონითაც. ჩვენი მწვრთნელების უმრავლესობა მეცადინეობას ატარებს მოძველებული მეთოდებით.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციის მუშაობა, რომელმაც ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი კონტროლი და დახმარება ორგანიზაციებისადმი. სავსებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული სამხრეთ ოსეთი, აჭარა და აფხაზეთი. ადგილებზე მომუშავე მწვრთნელები და ტანმოვარჯიშეები ვერ გრძნობდნენ ხელმძღვანელობას და დახმარებას სექციის მხრივ.

ნაკლოვანებათა შესახებ ილაპარაკეს აგრეთვე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა. მწვრთნელმა ს. ზურაბოვმა აღნიშნა მაგალითად, რომ მიმდინარე პლენუმს აკლდნენ არამც თუ პლენუმის წევრები, არამედ პრეზიდიუმის შემადგენლობის ნახევარიც კი, რომ სექციისა და მისი პრეზიდიუმის ბევრ წევრს არც აინტერესებს მათივე ღვიძლი საქმე, არ დადიან ძირეულ კოლექტივებში და შეჯიბრებებზეც კი. სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული მსაჯთა კოლეგიის მუშაობა.

დუშეთის რაიონის წარმომადგენელმა ს. ხუროძემ განაცხადა, რომ რაიონები მწვავე ნაკლებობას განიცდიან სპორტული ინვენტარით მომარაგების მხრივ. ძნელი საშოვნია, მაგალითად, ტანვარჯიშული ლეიბი და ამასთან ძვირიცაა ღირს. დიდი მოთხოვნილებაა რაიონში სპეციალურ ქართულ სპორტულ ლიტერატურაზე, რომელიც არ იშოვება, გარდა ამისა, რაიონებში მომუშავეთა დასახმარებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გამოცდილ მწვრთნელთა და ტანმოვარჯიშეთა პერიოდული მივლინებანი დახმარების აღმოსაჩენად.

მასწავლებელმა მ. მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საშუალო სკოლებში ხშირად უხარისხოდ და დამახინჯებით ტარდება გაკვეთილები. ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ გაკვეთილზე რამდენიმე კლასს აერთიანებენ.

სპორტის ოსტატმა ს. ბალიაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ახალბედა ტანმოვარჯიშეებს 4-5 თვის ვარჯიშის შემდეგ აიძულებენ გამოვიდნენ შეჯიბრებებზე. ამის გამო მათი დაჩქარებითი მზადება საკლასიფიკაციო პროგრამის დაძლევით განისაზღვრება, რაც არ ქმნის ტანმოვარჯიშის ნორმალური ზრდის საშუალებას.

თბილისის ტანვარჯიშული სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. სანებლიძე შეეხო ძირეული კოლექტივების, მუშაობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ სპორტის ამ სახეობაში მუშაკთა დამოკიდებულება თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების მიმართ უაღრესად დაბალ დონეზე დგას. მაგალითად, ერთ-ერთ თემატურ აქტივზე თბილისში მომუშავე 300 სპეციალისტიდან გამოცხადდა მხოლოდ 20.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. მეიფარიანმა აღნიშნა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრამ მოამზადა და უკვე მესამე წელია დასაბეჭდად გადასცა ტანვარჯიშის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, მაგრამ მის გამოცემას დღემდე პირი არ უჩანს.

მტკივნეულ საკითხებზე ილაპარაკეს აგრეთვე ლ. ყანჩაველმა, ... ჯორჯაძემ, ქ. ზაალიშვილმა და სხვებმა. სავსებით არაკრიტიკული იყო მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის დ. ახვლედიანის გამოსვლა, რომელიც შეეცადა გაემართლებინა პრეზიდიუმის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სამსონაძე, რომელმაც აღნიშნა ტანვარჯიშული სექციის ძირითადი ნაკლოვანებანი და დამსწრეთ გააცნო ის ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია ჩვენს რესპუბლიკაში ტანვარჯიშის განვითარებისათვის.

არჩეულ იქნა რესპუბლიკის ტანვარჯიშის სექციის ახალი პრეზიდიუმი, მსაჯთა კოლეგია და მწვრთნელთა საბჭო.





ამას წინათ დამთავრდა აფხაზეთის პირველობა სასტენდო სროლაში. სურათზე თქვენ ხედავთ სოხუმის სტენდის საერთო ხედს, წინა პლანზეა ახალგაზრდა დ. ხორავა, წრეში — შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტის ოსტატი ი. ცომაია.

ფოტო ვ. სიმონოვისა.

## საბჭოთა ჰოკეისტების ორი გამარჯვება

28 თებერვალს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში საზეიმო ვითარებაში აღიმართა შაიბიან ჰოკეიში 1958 წლის მსოფლიო პირველობის ალამი. „იურდალ ამფის" საციგურაოზე მრავალრიცხოვან მაყურებელს მსოფლიო პირველობის დაწყება აუწყა ნორვეგიის მეფემ ულაფ მეხუთემ. შეჯიბრების ოფიციალურ გახსნამდე გაიმართა ერთი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის გუნდებს შორის. თამაშის სამივე პერიოდში უპირატესობა ჩეხების მხარეზე იყო და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 5:1.

ნორვეგიელი ჰოკეისტები შეჯიბრების პირველ დღეს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონს — შვეციის გუნდს. მრავალრიცხოვანი მაყურებლის მხარდაჭერის მიუხედავად, ნორვეგიელები შაიბას შაიბაზე ილებდნენ საკუთარ კარში. მატჩის საბოლოო შედეგია 9:0 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. ამის შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ამერიკელი და პოლონელი სპორტსმენები. შეხვედრა დამთავრდა აშშ-ს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 12:4.

1 მარტს პოლონელებმა უფრო დიდი ანგარიშით წააგეს მორიგი შეხვედრა. მათ ვერაფერი გააწყვეს კანადის გუნდის — „უიტბი დანლოპსის" წინააღმდეგ და დამარცხდნენ — 1:14. შვეციის ჰოკეისტებმა მოუგეს ფინეთს — 5:2.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 10:2 გაიმარჯვა ნორვეგიელებზე, ხოლო 2 მარტს მან მშრალი ანგარიშით დაამარცხა ფინეთი — 10:0.

გუშინ საბჭოთა ჰოკეისტები ისვენებდნენ. დღეს ისინი ითამაშებენ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

# რინგის კვადრატი ცირკის სარბიელზე

## „აკადემიური" ბრძოლა

რინგზე ერთმანეთის პირისპირ ორი ატლეტი დგას. თბილისელი მაყურებელი კარგად არც ერთ მათგანს არ იცნობს, თუმცა ორივეს შესახებ ბევრი რამ გაუგონია. კარლოს ჯანერიანი — ევროპის ჩემპიონატისა და ინგლისთან და შოტლანდიასთან ამხანაგური შეხვედრების მონაწილე, გამოცდილი ტაქტიკოსი და ბრწყინვალე ტექნიკის მოკრივე. რუდიკ იონესიანი — ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მოკრივე ბაქოდან.

... სპორტსმენები უკვე ნახევარწუთზე მეტია მოძრაობენ რინგზე. ჯერ არ გაკეთებულა არც ერთი დარტყმა, არ მომზადებულა გადამწყვეტი იერიში. მეტოქეები მხოლოდ ზვერავენ ერთმანეთს, არკვევენ სუსტ და ძლიერ მხარეებს. არც ერთი მოკრივე არ იქნევს ხელს უაზროდ. ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა ამ გონებამახვილურ თამაშში გაზომილია, ეკონომიურია. მაგრამ როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? ბოლოსდაბოლოს რომელიმე მოკრივემ ხომ უნდა ითავოს შეტევის დაწყება? იონესიანი იწყებს ბრძოლის გამწვავებას. ჯანერიანი უმეტესად კონტრშეტევებს აწარმოებს.

ამ უაღრესად ფრთხილ, „აკადემიურ" კრივში დისონანსი არც იონესიანს შეაქვს. იგი ოსტატური ცრუ მოძრაობებით დაცვის გახსნას იწვევს ერევნელს, მაგრამ დარტყმებს აგვიანებს და კარგავს ქულებს. ასე ჩატარდა პირველი ორი რაუნდი. მესამე რაუნდი დიდად არ განსხვავდებოდა წინა რაუნდებისაგან, ოღონდ მოკრივეებს ოდნავ დაღლა დაეტყოთ. ჯანერიანი ინარჩუნებდა უპირატესობას და უფრო თავისუფლად მუშაობდა. როდესაც გაისმა გონგის ხმა, ჯანერიანის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია.

სამწუხაროდ, ასეთი მაღალტექნიკური კრივი იშვიათია ამ ჩემპიონატზე. მხოლოდ რამდენიმე მოკრივემ და პირველ რიგში ტამულისმა (ლიტვა), ყიფიანმა (ბაქო) და ლებედევმა (სტალინო) გვიჩვენეს სრულყოფილი ბრძოლა ყველა თავისი ქესუსუარით, მაგრამ მათი შეხვედრები ჯერ საბოლოო ანგარიშში მაინც არ შედის, რადგან პირველი ბრძოლა ზემოდჩამოთვლილებმა შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან ჰქონდათ.

საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის გათამაშება კრივში ტარდება ორ ეტაპად. პირველად ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები პირველობას ეცილებიან ზონებში, ხოლო შემდეგ (აქ პირველ-მეორე ადგილზე გამოსული სპორტსმენები) იბრძოლებენ ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ფინალში. ზონალური ტურნირები ტარდება მოსკოვში, მინსკში, თბილისსა და ლვოვში. ფინალი მოეწყობა მოსკოვში, 6-9 აპრილს.

ყოველ წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელისათვის იბრძვის 64 მოკრივე, ე. ი. 16 სპორტსმენი თვითეულ ზონაში. შეჯიბრება ტარდება ასეთი სისტემით: ნახევარფინალამდე მოკრივე რომელიც წააგებს შეხვედრას კარგავს შემდგომი ბრძოლის უფლებას. ნახევარფინალში გამარჯვებული სპორტსმენები იბრძვიან პირველ-მეორე ადგილისათვის, ხოლო დამარცხებულები — მესამე ადგილისათვის.

ზონებში საპრიზო ადგილებზე გამოსული მოკრივეები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით. ამას გარდა, იმ სამ მოკრივეს, რომლებიც გამოავლენენ მაღალ ტექნიკურ მომზადებას, გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

თბილისის ზონაში, გამოცდილ მოკრივეებთან ერთად გამოდის ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენი. მონაწილეთა შორის არიან: XVI ოლიმპიური თამაშების ფინალისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. მუხინი, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონები: ბ. ნაზარენკო და ი. ეგოროვი, ცნობილი ოსტატები: რ. ტამულისი, კ. ჯანერიანი, ა. ბორისოვი, რ. იონესიანი, ბ. ყიფიანი, თ. მიქაელიანი, ნ. დარბაისელი და სხვები.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ნავასარდოვი.

## მესამე რაუნდის „ტრაგედია"

ტრაგედია, რა თქმა უნდა, აქ პირობითადაა ნახმარი, მაგრამ იგი მაინც ჰარმონიაშია ამ ცნებასთან. წარმოიდგინეთ, რომ პირველ რაუნდში სპორტსმენი ბატონობს რინგზე, იგი მოძრაობს თავისუფლად, მოქმედებს ზომიერად და გონივრულად. ინიციატივას ინარჩუნებს მოკრივე მეორე რაუნდშიც, მაგრამ პირვანდელი უპირატესობა ოდნავ ირყევა და მოულოდნელად ყველაფერი იცვლება მესამე რაუნდში.

აი, მაგალითისათვის გავყვეთ ქუთაისელ ჯ. კვანტალიანის ბრძოლას ლენინგრადელ ო. კლუბნიჩკინთან. ანკეტური მონაცემების მიხედვით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კვანტალიანი 19 წლისაა, ლენინგრადელი კი — 28-ს. ქუთაისელი მოკრივე ჯერ კიდევ შარშან მოზარდთა შორის გამოდიოდა. კლუბნიჩკინი კი უკვე გამოცდილი, მრავალ ბრძოლაში ნაცადი ოსტატია. ლენინგრადელს ორჯერ მეტი ოფიციალური შეხვედრა აქვს ჩატარებული კვანტალიანზე.

ლენინგრადელი ცდილობდა მეტოქის ახლო ბრძოლაში დაჭერას, რადგან თავის ძალას იგი სწორედ აქ გრძნობდა. კვანტალიანი პირიქით, დისტანციური და ახლობრძოლის შენაცვლებით, ქულას ქულაზე აგროვებდა, ხოლო როდესაც მას შეტევის ძლიერი დარტყმით დამთავრების რეალური შესაძლებლობა შეექმნა, ოსტატი ნოკდაუნში აღმოჩნდა. ნოკდაუნი მოკრივესათვის დიდი მორალური და ფიზიკური ტრავმაა, მაგრამ ლენინგრადელმა გამონახა ბრძოლის გაგრძელებისათვის საჭირო ძალები და ახალი ძალით განავითარა შეტევა. მეორე რაუნდში კვანტალიანი ოდნავ დაიღალა, რაც მისი ბრძოლის მანერასაც დაეტყო. მაგრამ უპირატესობას იგი მაინც ინარჩუნებდა. მესამე რაუნდში კი სურათი შეიცვალა. უფრო ეფექტურ შეტევაზე უკვე კლუბნიჩკინი იყო გადასული, ხოლო კვანტალიანი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა. რა მოხდა, რამ შეცვალა ძალთა შეფარდება? ქუთაისელი ფიზიკურად მოუმზადებელი გამოდგა, მას „სუნთქვა აღარ ეყო" შეხვედრის ბოლომდე და სწორედ ამან განაპირობა ბრძოლის ბედი. კვანტალიანმა ძლიერ მეტოქესთან ბრძოლა „ტრაგიკულად" წააგო, ბრძოლა, რომლის მოგება მას ფინალში გასვლის კარგ შანსებს აძლევდა.

ანალოგიური სურათი იყო გუჯაბიძე (ქუთაისი)-ვარდანიანის (თბილისი) შეხვედრაშიც. გუჯაბიძე მაღალტექნიკური მოკრივეა, კარგი ტაქტიკოსი — ესეც კარგადაა ცნობილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისელმა მოკრივემ მისთვის ჩვეულ მწვავე სტილში დაიწყო ბრძოლა. მაგრამ, როდესაც გავიდა შეხვედრის პირველი ექვსი წუთი, გუჯაბიძე ზომაზე მეტად იყო დაღლილი. მხოლოდ კრივის კარგმა ცოდნამ და სწორმა ტაქტიკამ შეუნარჩუნა უპირატესობა გუჯაბიძეს. თქმა არ უნდა, ამ გამარჯვებას მეტი ეფექტი ექნებოდა, გუჯაბიძეს რომ შეენარჩუნებინა ის სიმსუბუქე და ენერგია, რაც მას პირველ რაუნდში ჰქონდა.

## ოსტატთა გასაჭირი

სდგათ თუ არა ოსტატებს გასაჭირი? ნაწილობრივ კი. არა გვგონია, რომ ამ აზრის საწინააღმდეგოდ რამე თქვან მოსკოველებმა ჩერმენიოვმა და გუდკოვმა, ბაქოელმა აბიევმა, ომსკელმა კაზანცევმა და სხვებმა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ მათ წააგეს შეხვედრები ახალგაზრდა პირველთანრიგოსნებთან. ოსტატებმა ვერ უჩვენეს მათთვის შესაფერი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება.

მოსკოველმა ჩერმენიოვმა ბრძოლა დაიწყო მეტად აგრესიულად ბაქოელ გრიგორიანის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც კი მიიღო ერთი ძლიერი დარტყმა, დაკარგა წონასწორობა და დაიწყო უსისტემო ბრძოლა. ნუთუ ოსტატმა ვერ უნდა შეძლოს ბრძოლის პროცესში ტაქტიკის რაციონალურად გარდაქმნა? ვერ იქნა და ვერაფრით ვერ შეეწყო თბილისელ ბუმბიაშვილის ბრძოლის მანერას ბაქოელი ოსტატი აბიევი. იგი ყოველგვარი ხერხით ცდილობდა ინიციატივის ხელში აღებას, მაგრამ ამაოდ. მესამე რაუნდში, როდესაც ფაქტიურად უნდა გადაწყვეტილიყო ბრძოლის ბედი, ბუმბიაშვილმა მეტი მოსაზრებულობა გამოიჩინა. იგი სულ უფრო ხშირად ხმარობდა ქვემოდან დარტყმას. ახალგაზრდა ოსტატმა დამსახურებულად მოიგო ბრძოლა.

ჩატარებული ორი დღის შეხვედრებში მსაჯთა კოლეგიამ მხოლოდ ერთი წყვილი მოხსნა არაკვალიფიცირებულ ბრძოლისათვის — მოსკოველი სუშჩინსკი და ტაშკენტელი კრუსტნიკოვი. იყო თუ არა სამართლიანი ეს გადაწყვეტილება? რა თქმა უნდა. სპორტსმენები, რომლებიც რინგზე მხოლოდ ჩხუბობენ, უაზროდ იქნევენ ხელებს და ნამდვილ სპორტულ ბრძოლას გაურბიან, შეჯიბრებიდან უნდა მოიხსნან, რადგან ისინი სამარცხვინო ლაქად ედებიან საკავშირო ჩემპიონატს.

შეჯიბრება მიმდინარეობს..

**ნ. გუგუშვილი**

* * *

### ტექნიკური შედეგები

**1 მარტი. (დღე) უმჩატესი წონა:** გეორქოვმა (მოსკოვი) დაამარცხა ჯავოიანი (თბილისი), მუსაელიანმა (ბაქო) — ალაშვილი (ტაჯიკეთი), ხაჩატურიანმა (ერევანი) — ანპოლცევი (გროზნო), აკმურზინმა (თბილისი) — მელიქიანი (თბილისი), გასპარიანმა (ერევანი) — ქერიმოვი (ბაქო), შეპეტკოვმა (თბილისი) — ბურკუნი (ტაშკენტი).

**პირველი ქვესაშუალო წონა:** სილაგაძემ (თბილისი) — კირიუხინი (მოსკოვი), არუთინიანმა (სტალინაბადი) — ენგოიანი (ერევანი), ცხვირიაშვილმა (ბაქო) — თათევოსიანი (მოსკ. ოლქი), კეტიპიანმა (ერევანი) აშკარა უპირატესობით — მამედოვი (აშხაბადი), ტამულისმა (კაუნასი) აშკარა უპირატესობით — ფინანსოვი (თბილისი), ლებედევმა (სტალინო) — კოზაევი (თბილისი), პეტუხოვმა (სვერდლოვსკი) — ზ. ლომიძე (ქუთაისი), ყიფიანმა (ბაქო) — ლაპატნიკოვი (ალმა-ატა).

**ქვემძიმე წონა:** აბასოვმა (ბაქო) — ეგოროვი (მოსკოვი), ბუთხუძემ (ორჯონიკიძე) — გრანატკინი (ტაშკენტი), მიქაელიანმა (თბილისი) ნოკაუტით — კონიაკინი (თბილისი), ბაბახანიდმა (თბილისი) — კარავაიკინი (კრასნოდარი).

**1 მარტი. (საღამო) ქვემსუბუქი წონა:** ასატუროვმა (თბილისი) აშკარა უპირატესობით — ნურყანოვი (აშხაბადი), გრიგორიანმა (ბაქო) — ჩერმენიოვი (მოსკოვი), პეტროსიანმა (ერევანი) — ბალახოვეცი (კრასნოდარი), გრიგორიანმა (თბილისი) — ეფენდიევი (მახაჩყალა) უკანასკნელს მისცეს დისკვალიფიკაცია, ბუმბიაშვილმა (თბილისი) — აბიევი (ბაქო), გამზაევმა (კუიბიშევი) — კოროტკი (როსტოვი), კულიევმა (ბაქო) — ზლატოუსტი (კოშინიოვი).

**პირველი საშუალო წონა:** ტოვმასიანმა (ერევანი) აშკარა უპირატესობით — პაპიკიანი (ერევანი), ჯანერიანმა (ერევანი) — იონესიანი (ბაქო), გალცევმა (ალმა-ატა) — ლოგინოვი (ლენინგრადი), კარპენკომ (მოსკოვი) — უსტინინი (კაუნასი), კოლესნიკოვმა (ახალციხე) აშკარა უპირატესობით — პარამონოვი (აშხაბადი), ფროლოვმა (თბილისი) — ლუშჩევსკი (კ. შანიოვი).

**2 მარტი. (დღე) მჩატე წონა:** კლუბნიჩკინმა (ლენინგრადი) — კვანტალიანი (ქუთაისი), სარქისიანმა (ერევანი) — ალამალიანი (ერევანი), ხუდოიანმა (ბათუმი) — აჯალოვი (ოდესა), პოგორელოვმა (ოდესა) — ნურმანოვი (ტაშკენტი), მინეევმა (ომსკი) — ზახარიანი (ერევანი), ჩატულიდმა (თბილისი) აშკარა უპირატესობით — აიდარბეკოვი (ალმა-ატა), მნაცაკანოვმა (ბათუმი) — ბრატუსი (სტალინაბადი).

**მეორე ქვესაშუალო წონა.** ლევინმა (მოსკოვი) — ფერონოვი (გროზნო), გასპარიანმა (ერევანი) ნოკაუტით — განიევი (ტაშკენტი), ვაინშტეინმა (ტაშკენტი) — კაზანცევი (ომსკი), აბაზაძემ (ბათუმი) — ზებულაშვილი (თბილისი), ხუბეჯოვმა (თბილისი) — კოვტუნი (სტალინაბადი) უკანასკნელი დისკვალიფიცირებულ იქნა, ბერზინმა (თბილისი) აშკარა უპირატესობით — პაპახჩიანი (ერევანი), ბუდმანმა (ტაშკენტი) — ტრიშკინი (ალმა-ატა), არშარუნმა (ერევანი) — მამედოვი (ბაქო) წარბის დაზიანების გამო.

**მძიმე წონა:** ჩოგოვაძემ (თბილისი) აშკარა უპირატესობით მოუგო — ცვეტკოვს (თბილისი).

**2 მარტი. (საღამო) მსუბუქი წონა:** ბორისოვმა (როსტოვი) — შილოვი (მოსკოვი) უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, ხუსნუტდინოვმა (ტაშკენტი) — პუგაჩოვი (ბათუმი), ბადალმა (კრასნოდარი) — ნიკუშინი (ორენბურგი), ენგოიანმა (ერევანი) — გუდკოვი (მოსკოვი), მელჩინმა (ბაქო) — ვასილიევი (მოსკოვი), გუჯაბიძემ (ქუთაისი) — ვარდანიანი (თბილისი), აგარონოვმა (ტაშკენტი) — გევორქიანი (ერევანი), შურიგინმა (ორენბურგი) — ლუკიანოვი (კუიბიშევი).

**მეორე საშუალო წონა:** ნაზარენკომ (ორჯონიკიძე) — ტოვმასიანი (ერევანი), ნ. დარბაისელმა (თბილისი) ნოკაუტით — მაკაროვი (კალინინგრადი), ამაშუკელმა (ფოთი) — ასლანიანი (ბაქო), სეკაჩოვმა (ბაქო) — ზაქარაია (ტყვარჩელი), სილაგაძემ (თბილისი) — მკრტიჩიანი (ერევანი), ანტავიჩუსმა (კაუნასი) — ალფეროვი (ბაქო), ვოჯობიოვმა (მოსკოვი) — ზარუბინი (თბილისი), აკოფოვმა (თბილისი) — ბზნუნი (ერევანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო. მოდებაძე

# მორბენალი ქალი

ჩაივლიდა მომხიბვლელად გზაზე,
ამაყი და ეშხიანი მუდამ,
შეგვავლებდა თვალებს რისხვით სავსეს
და ხუმრობა აღარავის გვსურდა...

ალალბედა სიყვარულის მჯერა...
გულში გრძნობა იზრდებოდა მკრთალი,
ბიჭები თუმც ვერ ბედავდნენ მზერას,
ჩუმად მაინც მისკენ ჰქონდათ თვალი.

ერთხელ, ადრე გაზაფხულის დილით,
მარტო შემხვდა, შემომხედა ფრთხილად!...
დამერწმუნეთ, მის მომხიბვლელ ღიმილს
ინატრებდა ის ლამაზი დილაც.

ავედევნე—ლამაზ ფიქრთან ერთად.
მიდიოდა როგორც შველი მარდი,
„დამიცადე“ — ლამის მსურდა მეთქვა, —
იმ კარგ ღიმილს ხომ არ დავკარგავდი...

ძლივს ვსუნთქავდი... ის კი, ალბათ, მცდიდა,
ფიქრში ვთხოვდი: — ნუ გამირბი, კმარა!
წამით შედგა, გაიცინა მშვიდად
და... ნაბიჯი უფრო დააჩქარა.

და სირცხვილმა უცებ ძლია წადილს,
გამმაგებით შემოვბრუნდი ბოლოს.
— ეხლა თუნდაც ცხრა მთას იქით წადი! —
კი არ ვუთხარ,
გავიფიქრე მხოლოდ.

გულში დამრჩა ის ამაყი სახე...
და ვცდილობდი არ მომეკრა თვალი,
მხოლოდ ერთხელ „ლელოს“ გვერდზე ვნახე:
„ნიჭიერი მორბენალი ქალი!“

ჰო, ის იყო... მის მომხიბვლელ ღიმილს
უნებურად ვიგონებდი დიდხანს;
თვით თუმც იყო უსიტყვო და ფრთხილი,
იმ გაზეთმა ყველაფერი მითხრა.

თუ კვლავ შევხვდი, დავუძახებ სახელს,
მჯერა, თუმცა თამამი აქვს ქცევა:
თუნდაც ქვეყნის ჩემპიონი გახდეს,
შემხედავს და... აღარ გამექცევა...

# უნივერსიტეტის კალათბურთელთა წარმატება

კალათბურთელთა ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრების მეხუთე ტურმა ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები შეესაბამებოდა გუნდებს შორის ძალთა შეფარდებას. ამიტომ მოგვყავს ამ ტურის მხოლოდ ტექნიკური შედეგები. ვაჟები: უნივერსიტეტი (თბილისი)-აფხაზეთი — 68.53, აჭარა-ფოთი — 79:67, ქუთაისი-პედინსტიტუტი (თბილისი) — 60:50, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-სამტრედია — 83:33. ქალები: პედინსტიტუტი (თბილისი)-გორი — 57:44, ქუთაისი-აფხაზეთი — 45:30, აჭარა-წულუკიძე — 58:39, უნივერსიტეტი (თბილისი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 50:31.

არაფერი განსაკუთრებული არ იყო მოსალოდნელი მეექვსე (ბოლოსწინა) ტურში, და ალბათ აქაც ჩვენ მხოლოდ ტექნიკური შედეგებით შემოვიფარგლებოდით, რომ არ მომხდარიყო ერთი მეტად უსიამოვნო ფაქტი. როცა მოედანზე გამოვიდნენ უნივერსიტეტისა და ფოთის ვაჟთა გუნდები, ყველასათვის აშკარა იყო სტუდენტთა უპირატესობა. და მართლაც სტუდენტებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიში წაიყვანეს. სულ მალე ისინი წინ იყვნენ 20-22 ქულით. ამ წარმატებამ ერთგვარად შეასუსტა მათი აქტიურობა და მეორე შემადგენლობამ, რომელიც ამ დროს მოედანზე იყო, ზერელედ დაიწყო თამაში. მოწინააღმდეგის ეს შეცდომა კარგად გამოიყენეს ფოთელებმა. მათ ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი წინ გავიდნენ. შეხვედრის დამთავრებას აკლდა ერთი წუთი, როცა ფოთის გუნდს მიჰყავდა ანგარიში 5 ქულით. რა თქმა უნდა, ერთი წუთი კალათბურთში საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ თამაშის მსვლელობის მიხედვით ფოთელთა თამაშს წაგების პირი არ უჩანდა. უცბათ სტუმრებმა გადაწყვიტეს წაგება და ერთი მეორეზე ჩააბარეს ბურთები მოწინააღმდეგეს. რასაც მოჰყვა უნივერსიტეტის კოლექტივის გამარჯვება — 73:70.

რამ გამოიწვია ფოთის სპორტსმენთა ასეთი არასპორტული საქციელი? მოგება მათ არსებითად არაფერს აძლევდა, ხოლო უნივერსიტეტის გუნდს უკარგავდა პირველი ადგილის შანსს. როგორც ჩანს, მათ დაივიწყეს თავიანთი კოლექტივის სპორტული ღირსება. მწვრთნელმა ფ. გერსამიამ და მთელმა გუნდმა გადაწყვიტეს უხმო კაპიტულაცია. ფაქტი, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ ყველაფერი იცოდა მსაჯთა კოლეგიამ, შეჯიბრების ორგანიზატორებმაც, რომლებმაც არავითარი ღონე არ იხმარეს მის საწინააღმდეგოდ.

რაც შეეხება უნივერსიტეტის კოლექტივს, მას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა იმისათვის, რომ საქმე ასეთ მდგომარეობამდე არ მიეყვანა.

გათამაშების უკანასკნელ დღეს შეჯიბრების ლიდერმა — უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა სამტრედიის კოლექტივი — 86:50; მეორე-მესამე ადგილის გამოსავლინებლად მნიშვნელობა ჰქონდა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და აჭარის გუნდების შეხვედრას. მატჩი მოიგეს აჭარელმა სპორტსმენებმა — 99:94. ვაჟთა პირველი სამეული ასე განაწილდა: უნივერსიტეტი, აჭარა, ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ქალთა შორის თანაბრად და ძლიერთად ჩაატარა შეჯიბრება უნივერსიტეტის გუნდმა, რომელსაც წილად ხვდა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი, ხოლო მესამეზე აჭარის სპორტსმენები.

ამრიგად, შეჯიბრებაში გამარჯვებულმა უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა კოლექტივებმა (მწვრთნელები სპორტის ოსტატი ა. მესხი და დ. ქამუშაძე) მოიპოვეს საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდების ტურნირში მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩატარდება ტალინში.

ლ. ფალავანდიშვილი



ამას წინათ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესების შესახებ სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის. ახალი მსოფლიო რეკორდის ავტორია ჩინელი სპორტსმენი ჩუენ ფენ-ჟუნი, რომელმაც დაძლია თამასა 177 სანტიმეტრზე. ახალი რეკორდსმენი ხტომის დროს იყენებს „ტალღისებურ“ სტილს.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ჩუენ ფენ-ჟუნს გადაწყვეტილი აქვს უფრო ეკონომიურ და პროგრესულ სტილზე გადასვლა, რაც მას რეკორდის შტურმის საშუალებას მისცემს.

• • •

სურათზე: ჩინელი რეკორდსმენი ვარჯიშის დროს. იგი ამჟამად ემზადება 180 სანტიმეტრის დასაძლევად.

# ინერგება ახალი სახეობა

არც ისე დიდი ხნის წინათ, სპორტის ისეთ საინტერესო სახეობას, როგორიცაა წყალქვეშ ცურვა, ერთეულები მისდევდნენ, რადგან არ იყო საკმაო რაოდენობისა და ხარისხის ინვენტარი. სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარების მიზნით საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს პირველხარისხოვანი ინვენტარი. წყალქვეშ ცურვა თანდათან პოპულარული გახდა. ამჟამად მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესასა და სხვა ქალაქებში გაიხსნა წყალქვეშა ცურვის სექციები.

მოსკოველმა სპორტსმენებმა გასულ წელს მონაწილეობა მიიღეს ბრაერთ არქეოლოგიურ ექსპედიციაში შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმში. სპორტის ამ სახეობის დანერგვამ არქეოლოგებს საშუალება მისცა ერთიორად გაეზარდათ საძიებო სამუშაოები ქერჩის სრუტეში მდებარე წყალში ჩაძირული უძველესი ქალაქების გამოკვლევის დროს.

ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებისა და ექსპედიციებში წარმატებით მონაწილეობის მიზნით, ყირიმის სანაპიროზე გაიხსნება ტურბაზა, სადაც ზაფხულში მოამზადებენ ინსტრუქტორებს, რომლებიც შემდეგ უხელმძღვანელებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში შექმნილ სექციებს.

წყალქვეშ მოცურავე სპორტსმენთა დახმარებით მიმდინარე წელს განზრახულია მოეწყოს ექსპედიციები კასპიის, შავი და იაპონიის ზღვების მიდამოებში, სახალინისა და ახალ მიწის ტერიტორიებზე და სხვ. რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის წყლის სიმდიდრეთა საფუძვლიან შესწავლას.

# ყოველი მხრიდან

⊙ **ბარსელონა.** 10.000 მაყურებელი ესწრებოდა საერთაშორისო მატჩს კალათბურთში ესპანეთისა და ბულგარეთის გუნდებს შორის. მატჩი მოიგეს ბულგარეთის კალათბურთელებმა ანგარიშით 51:39.

⊙ **ლეიპციგი.** აქ გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება დახურულ შენობაში, სადაც მ. პროისგერმა ჭოკით ხტომაში დაძლია 4 მ 52 სმ. ეს ევროპის ახალი რეკორდია დახურულ შენობაში.

⊙ **სოფია.** დიდი ინტერესი გამოიწვია სოფიისა და ბელგრადის გუნდების შეხვედრამ კლასიკურ ჭიდაობაში. გამარჯვება მოიპოვეს ბულგარელებმა — 6:2.

⊙ **ვროცლავი.** აქ შედგა საერთაშორისო შეხვედრა ჭადრაკში 10 დაფაზე პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის. პოლონელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს. გერმანელებმა რევანში აიღეს ახალგაზრდათა შეხვედრაში.

⊙ **ბოსტონი.** დახურულ შენობაში გამართულ შეჯიბრებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. დელანეიმ (ეირე) ერთი მილი გაირბინა 4.05,3 წუთში. ოლიმპიური ჩემპიონი ჩ. ჯენკინსი (აშშ) პირველი იყო 600 იარდზე რბენაში — 1.10,9.

⊙ **მელბურნი.** ოლიმპიურ აუზში მიმდინარეობდა შეჯიბრება ავსტრალიის პირველობაზე ცურვაში.

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა მოცურავემ დ. მონქტონმა, რომელმაც 110 იარდი ზურგზე გაცურა 1 წუთსა და 01,5 წამში. ეს მსოფლიო რეკორდია (ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის მიერ დაწესებული საწყისი ნორმატივი უდრიდა 1 წუთსა და 02,6 წამს). ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აგრეთვე ახალი სამხრეთ უელსის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 4.19,4. (დ. მონქტონი — ზურგზე, ტ. ჰეიტერკოულა — ბრასი, ბ. უილკინსონი — ბატერფლაი, ჯ. დევიტი — თავისუფალი სტილი).

⊙ **ბრიუსელი.** ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ბელგიისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა ბელგიელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1 (2:0).

⊙ **ნიუ-იორკი.** ამერიკელმა სპრინტერმა კენ კეივმა 60 იარდი გაირბინა 6,2 წამში.

⊙ **ჟენევა.** აქ გაიმართა საერთაშორისო მძლეოსნური კროსი რამდენიმე სახელმწიფოს მძლეოსანთა მონაწილეობით. გაიმარჯვა ჰ. გროდოცკიმ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელმაც 7,5 კილომეტრი გაირბინა 23 წუთსა და 15,2 წამში.

⊙ **კარლსრუე.** კლაუს ბოდინგერმა (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა) დაამყარა გერმანიის ახლი რეკორდი ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში. მისი დროა 2.38.6.

⊙ **სანტ-იაგო.** შედგა ბოლო მატჩი სამხრეთ ამერიკის პირველობაზე კალათბურთში პარაგვაისა და ბრაზილიის გუნდებს შორის. ანგარიშით 68:52 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა. ადგილები ჩემპიონატში განაწილდა შემდეგნაირად: ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი, არგენტინა, ჩილი, კოლუმბია, პერუ, ეკვადორი.

# სტუმრად მეგობრებთან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-40 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-37 წლისთავს მიუძღვნეს თბილისის კიროვის რაიონის ახალგაზრდებმა თავიანთი ავტო-მოტოგადარბენა, რომლის მარშრუტი იყო: თბილისი-ერევანი-თბილისი. იგი კომკავშირის რაიონული კომიტეტისა და სპორტსაზოგადოებების „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ინიციატივით მოეწყო.

21 თებერვალს დილით, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი აიღეს გადარბენის მონაწილეებმა. ჰაერი გაჰკვეთა მოტოციკლების გამაყრუებელმა გუგუნმა, რომლებსაც უკან გაჰყვა სადღესასწაულოდ მორთული ავტომანქანები. კოლონამ გაიარა საქართველოს ტერიტორია და შევიდა ყაზახში (აზერბაიჯანი). აქედან კი მოძმე სომხეთის ტერიტორიაზე. სადაც კი საქართველოს დედაქალაქის წარგზავნილები გამოჩნდებოდნენ, მათ ყველგან გულთბილად ხვდებოდა მოსახლეობა. სოფელ შადრევანთან სტუმრებს წინ შემოხვდნენ ერევნელი ახალგაზრდები. დროებით მიწყნარდა მოტოციკლების გუგუნი, გაისმა მეგობრული შეძახილები. დამხვდურები იყვნენ ერევნის კიროვის რაიონის გოგონები და ჭაბუკები. მცირე შესვენების შემდეგ კვლავ გავუდექით გზას. სომხეთის დედაქალაქის მოსახლეობა გულთბილად და ტაშისცემით შეგვხვდა. ქალაქში გავაკეთეთ რამდენიმე საპატიო წრე, რომლის შემდეგ ვივახშმეთ და გავემგზავრეთ დასასვენებლად.

მეორე დღეს გავემგზავრეთ ექსკურსიაზე ეჩმიაძინში ადგილობრივ ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. უკან დაბრუნებისას მოვაწყეთ ამხანაგური შეხვედრა ფრენბურთში, რომელიც მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:1. სამაგიეროდ დავამარცხეთ ერევნელები კალათბურთში — 37:17. ამის შემდეგ ვნახეთ ერევნის კინოსტუდიის ახალი ფილმი „კამო“.

ჩვენს საპატივცემულოდ მასპინძლებმა გამართეს ბანკეტი, სომხეთის კპ ერევნის კიროვის რაიკომის მეორე მდივანმა რ. ეგიზარიანმა წარმოთქვა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების ძმობის სადღეგრძელო. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. პოღოსიანმა ილაპარაკა ამ ორი რესპუბლიკის — სომხეთისა და საქართველოს მეგობრული წარსულის შესახებ.

თბილისის კიროვის სახელობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ო. კალაძემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და მოიწვია ისინი საქართველოს დედაქალაქში.

გადარბენის მონაწილეებმა დატოვეს სტუმართმოყვარე სომხეთის დედაქალაქი და გამოემგზავრნენ თბილისისაკენ.

უკან დაბრუნებისას, თოვლიან გზატკეცილზე მოგვიხდა სვლა. ერთი დღის განმავლობაში ისეთი დიდი თოვლი მოსულა, რომ გვიძნელდებოდა მგზავრობა, მაგრამ ერევნელებს ესეც არ გამოპარვიათ მხედველობიდან. საავტომობილო გზას უკვე წმენდნენ ტრაქტორები, ბულდოზერები.

თბილისის კიროვის რაიონის ახალგაზრდობამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო ლენინის სახელობის მოედანზე. მონაწილეებს გადასცეს ყვავილების თაიგულები.

ვ. ნავროზაშვილი,
გადარბენის კომანდორი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. [illegible] „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგის და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00273